სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

კვირა, დეკემბრის 22, 1918 წ.

შრომა

გაზეთის ფასი ათი შაური.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ათი შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება:
12 საათამდის—15 მან., შემდეგ 20—მ.

რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.
რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილ. 10—2 ს. და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვევით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: Тифлис, Редакція „Шрома“, Барон. ул. № 16.

№ 106 ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 106

ნომრის შინაარსი.

წერილები:

თაური. ბრწყინვალე გამარჯვება.

ილიანი. უკანასკნელი კრიზისი.

. იმედიანი. საერთო ენა.

ეკროლოგი. ამხ. ვლ. გობეჩია.

——

აქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა (ანგარიში).

——

. უჩანეიშვილი. ერობა.

როვინცია. ზუგდიდის მაზრაში.

ცნობები:

ზუგდიდის საერობო არჩევნებში ესერებმა გაიმარჯვეს.

მეკლენბურგის—სტერლიცში დამფუძნებელი კრების არჩევნები დასრულდა: სოც.-დემ. უმრავლეხობის პარტიამ გაიყვანა 22 კანდიდატი, დამოუკიდებლებმა 16.

პოლონეთი დანციგზე პრეტენზიებს აცხადებს და უარს აცხადებს მოლაპარაკების გაგრძელებაზე

მოკავშირეები თანახმა არიან ტრესტი ინტერნაციონალურ ქალაქათ გამოცხადდეს.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა“-ზე

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა, № 16, გაზ. „შრომა“-ს კანტორა.

საქართველოს სოც.-რევ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამით აცხადებს, რომ **კვირას, 22 დეკ.** შუადღ. 12ს. ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძველი რევოლიუციონერის ამხ.

ვლადიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

დედა ბარბალე, ძმები იოსებ და ივანე, დები ნინა და მარიამ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ **კვირას, 22 დეკემბერს,** შუადღის 12 საათზე ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი

ვლადიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

სოც.-რევ. საპარლამენტო ფრაქცია ამით აცხადებს, რომ **კვირას, 22 დეკ.**, შუად. 12 ს. ქაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ძველი რევოლიუციონერის, **საქართველოს პარლამენტის წევრის**

ვლადიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლათ, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლოსაბაშვილი.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ აგვიანებთ

ბილეთების შეძენას.

კვირას, 22 დეკემბერს დილის 10 ს.

ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1) დანიშნულია სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ავლაბრის რაიონის წევრთა

საერთო კრება

განსახილველია: 1) „ზნამია ნაროდას“ ჯგუფთან დამოკიდებულების საკითხი 2) თანამედროვე მომენტი. 3) მოხსენება მეორე პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ 4) პროგრამული საკითხები 5) საორგანიზაციო საკითხები.

2—2

განცხადება.

თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა, სდგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

არსებობს შემდეგი პირობები: 1—ყველა მოხალისეს, რომელიც სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურებს—ადგილი შეენახება 2. სამხედრო მოქმედების შემდეგ ისინი განთავისუფლებული იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მალალაშვილს გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარციველს და ტ. ართმელაძეს.

ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან--14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი

7—2

გენერალ-მაიორი: **მალალაშვილი.**

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა აწყობს სასწრაფო

საექიმო საკვებავ რაზმს.

საჭიროა **სანიტარები,**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ **ექ. პ. ქავთარაძეს** სასტუმრო „ფრანცია“-ში.

2—1

ქ. თბილისი, დეკემბრის 22.

ბრწყინვალე გამარჯვება.

დიახ, ბრწყინვალე გამარჯვება—სხვა სახელი შეუძლებელია ვუწოდოთ იმ გამარჯვებას, რომელიც წილად ხვდა ჩვენს პარტიას ზუგდიდის სამაზრო საერობო არჩევნებში. ჩვენ გავიყვანეთ 12 ხმოსანი, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა 9 ხმოსანი და ეს მაშინ, როდესაც ბლოკის პარტიებს ჰქონდათ მრავალი კანონიერი და არა კანონიერი უპირატესობანი, როდესაც მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია აგიტაციით, თავისი გავლენით თუ რეპრესიებით გამშაგებით ილწვოდა ბლოკის გამარჯვებისათვის!..

ჩვენი უპირატესობა იყო უპირატესობა პროგრამისა, მშრომელი ხალხის ინტერესების სწორი გაგებისა, უპირატესობა სიმართლისა და სამართლიანობისა. სხვა უპირატესობა ჩვენ არ გვქონია.

ჩვენი პარტიის, ნივთიერად ხელმოკლე ზუგდიდის ორგანიზაციამ საკუთარი ძალ-ღონით, საკუთარი ძალებით და საშვალებით ჩაატარა მთელი საარჩევნო კომპანია და ეს მაშინ, როდესაც მოწინაალმდეგეებმა მობილიზაცია უყვეს თავის მატერიალურსა და იდეიურ ძალებს სხვა და სხვა რაიონებიდან, სხვა და სხვა მაზრებიდან.

მოწინაალმდეგეებმა ვერ შესძლეს საარჩევნო ხრიკებით ფონს გასვლა. დემაგოგიითა და ადმინისტრატიულ აპარატის თავის სასარგებლოთ ამუშავებით მოწინაალმდეგეებმა ვერ შესძლეს ჩვენი დამარცხება. მიწის მუშებმა უკვე შეიგნეს რომელია მათი პარტია, ვინ იბრძოდა და იბრძოლებს მათი ბედნიერებისათვის, მათი სრული გამარჯვებისათვის. ამიტომაც მისცეს მათ თავისი ხმები ჩვენს პარტიას, ამიტომაც გამოგვიცხადეს მათ სრული ნდობა.

ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რა დიდ მოვალეობას გვაკისრებს ეს ნდობა, ეს გამარჯვება. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს გაათკეცებულ მუშაობისაკენ. დგება დრო, როდესაც უნდა განვახორციელოთ დიდებული ანდერძი:

„ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხის მიერ“.

მშრომელი ხალხი უკვე სჭედავს თავის ბედნიერ მომავალს.

თავის მეგობრებისაგან ის მოელის უაღრეს ყურადღებას და აქტიურ დახმარებას. ჩვენ მასთან უნდა ვიყოთ, მთელი ჩვენი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მას უნდა მოვახმაროთ.

რევოლიუციონურ საქმიანობისაკენ, ღრმა სოციალურ შემოქმედებისაკენ—აი ჩვენი ძახილი, ჩვენი პასუხი!..

უკანასკნელი კრიზისი.

საქართველოს დამოუკიდებლობას ძლიერ ბევრი მტერი გამოუჩნდა. მტრები სხვა და სხვა სახით გვევლინებოდენ. პირველ ხანებში ოსმალთა ურდოები და სხვა და სხვა ჯურის ბანდები ლამობდენ ჩვენს

განადგურებას. შემდეგ, როდესაც გარეშე მტერი მოვიგერიეთ და ჩვენი მდგომარეობა ასე თუ ისე განვამტკიცეთ, შინაური მტრები გაგვიჩნდენ. მათ მოგვიწყვეს აჯანყებები საქართველოს სხვა და სხვა ჩამორჩენილ კუთხეებში. მაგრამ დემოკრატიის მძლავრმა ორგანიზაციულმა შეტევამ ანარქია ჩააქრო და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა. ჩვენ შევუდექით სამშენებლო მუშაობას. თუმცა ამ მუშაობაში ძლიერ ბევრი დეფექტებია, მშრომელი გლეხობისათვის ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა, მაგრამ მაინც წინ მივდიოდით ცხოვრების მოგვარების საქმეში და ეს ერთნაირ პლიუსათ უნდა ჩაგვეთვალოს. ყოველთვის ყველაზე უფრო დიდი საფრთხე ჩვენ რესპუბლიკას გარეშე ძალებისაგან მოელოდა. ამიტომ დიდ ყურადღებას ვაქცევდით საერთაშორისო კონიუნქტურას, რადგან მაზე ბევრათ იყო დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის არსებობა. პირველის ცვალებადობასთან ერთად თვალსაჩინოთ იცვლებოდა ჩვენი სახელმწიფოებრივი სულის კვეთება.

ასე იყო თუ ისე, დღემდის ყოველივე დაბრკოლება გადავლახეთ და შევუდექით ჩვენი შინაური საქმეების მოგვარებას. მაგრამ ეხლა ხელახლა დაგვიდგა კრიზისი.

მე არ ვიტყვი, რომ ამ კრიზისის ლიკვიდაცია არ შეიძლებოდეს. ეს შესაძლოა, მაგრამ მოითხოვს ჩვენგან დიდ გამჭრიახობას და ენერგიას. დღეს, როდესაც ევროპაში ზავზე ლაპარაკობენ, როდესაც ომის საშინელი სურათები ყველას თვალწინ გვიდგა და მოგონებაც კი არ გვინდა იმ ჯოჯოხეთისა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში დატრიალდა—ამ დროს ბედის უკუღმართობა, თითქოს განგებო, ორ მეზობელ ერის დემოკრატიას ურთიერთ ჟლეტის ავანტიურაში აგდებს. აქ, რასაკვირველია, ბრალი ედება მხოლოდ და მხოლოდ სომხის შოვინისტებს, რომელთაც არა ერთხელ ჩაუგდიათ თვისი უმგვანო პოლიტიკით სომხის ერი განსაცდელში. სომხეთსა და საქართველოს შორის ომი ორნაირი საფრთხის წინაშე გვაყენებს. ერთი,—ამ ომს შეუძლია გამოიწვიოს უცხო სახელმწიფოთა (მაგ., ინგლისის) ჩარევა ჩვენ შინაურ საქმეებში. მით უფრო შესაძლებელია ეს, რომ არც სომხეთი და არც საქართველო ჯერ კიდევ არ შესულა საერთაშორისო უფლებრივ სფეროში და მათი საგარეო მოქმედება (ომი იქნება ეს, თუ სხვა) ჯერ კიდევ არ განისაზღვრება ხსენებულ სფეროს ნორმებით. ბატონმა ვეშაპელმა განაცხადა პარლამენტში, რომ სამი ინგლისიც რომ იყოს, ჩვენს საქმეებში მაინც ვერ ჩაერევა, რადგან თვით მისი მდგომარეობა აწეწილიაო. და ამიტომ, რადგან ჩვენ ყველაფრიდან თავისუფალი ვართ, ომი ბოლომდისო.

მართალია, ინგლისის მდგომარეობა, — თუმცა ის გამარჯვებული კოალიციის წევრია,—არც ისე სახარბიელოა, რადგან თვით ინგლისში ყველაფერი რიგზე არაა და უხეში, წინდაუხედავი პოლიტიკა თუ ავნებს, თორემ ვერაფერს შემატებს მას, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ გარეშე ძალის ჩარევისაგან სავსებით უზრუნველყოფილი ვართ და არავითარი საბაბი ამ ჩარევას არ გამოიწვევს. ჩვენ ამ შემთხვევაში დიდი წინდახედულება გვმართებს, უნდა ვაჩვენოთ და დავუმტკიცოთ უცხოელებს, რომ ჩვენ მოგვახვიეს ომი თავზე და რომ ჩვენ ომის დროსაც შეგვიძლია დავიცვათ სახელმწიფოში წეს რიგი. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სახელმწიფოებრივი მომზადება. ეს ბევრ რამეში დაგვეხმარება ეხლაც და შემდეგშიაც საზავო კონფერენციის დროს. მტრები, უეჭველია, შეეცდებიან ჩვენ ამ მხრივ დაგვამარცხონ ჩვენში ანარქიის გამოწვევით და სხვა და სხვა პროვოკაციებით. ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს არ მოხდეს. ყოველივე კერძო, მთავრობის მიერ არა ნებადართული გამოსვლები სასტიკათ უნდა იქნას ჩაკლული.

თუ ეხლა ეს უკანასკნელი კრიზისი,—გარეშე ძალის ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევის საფრთხე,—ავიცილეთ თავიდან, ჩვენი დამოუკიდებლობა სხვა ყოველ შემთხვევისათვის დაზღვეული იქნება.

მე მწამს, რომ ამ კრიზისს საცაა უზამთ ლიკვიდაციას. საჭიროა მხოლოდ მეტი ენერგია და წინდახედულება. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფსიხოლოგიური კრიზისი, რომელიც შესაძლოა ომმა დაბადოს ჩვენ და სომხების ურთიერთობაში. მაგრამ ამაზე შემდეგ.

დოლიანი.

საერთო ენა.

ომს განსაკუთრებული, დამახასიათებელი ატრიბუტები აქვს, და თუმცა დაწყებული ომი საქართველოსა და სომხეთს შორის, სხვა დიდ ომებთან შედარებით წარმოადგენს, რომ იტყვიან „бурю в стаканѣ воды“, მაგრამ ამ ომსაც აქვს საერთო ომის ატრიბუტები ერთ ასეთ ატრიბუტს წარმოადგენს ნაციონალისტური „უგარის“ გაღვივება, გახვეული ლამაზ ფრაზეოლოგიის მანტიაში. ხან და ხან ეს ნაციონალისტური ჰიპნოზი იმდენათ ძლიერია,რომ ზოგიერთ სოციალისტებსაც კი ეკიდება. და მართლაც საქართველოსა და სომხეთს შორის ომის დაწყებისთანავე ორივე ერის ნაციონალისტებმა ერთმანეთს ხელთათმანი გაუცვალეს და ასტეხეს ერთი აურზაური. ეს ურა ნაციონალისტური აგიტაცია მეტათ ძლიერია. ჩვენმა მთავრობამ მიმართა სხვა და სხვა საშვალებას კანფლიქტის თავიდან ასაცილებლათ, მაგრამ თავდასხმის შემდეგ იძულებული იყო მაინც დაეცვა რესპუბლიკა სომხეთის მთავრობის აგრესიულ მოქმედებისაგან. აქედან კიდევ არ გამომდინარეობს ის დასკვნა თითქოს დამნაშავის სკამზე სომხის ხალხი უნდა დავსვათ მაგრამ მიუხედავათ ამისა ნაციონალისტებმა დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, ისინი ილაშქრებენ მთელი ერის წინაალმდეგ.

ასეთი ზრახვები, სულისკვეთება ახასიათებს ყველა ჯურის ნაციონალისტებს. სამწუხაროთ ეს სენი ლამის გადაედოს ზოგიერთ სოციალისტურ ჯგუფებსაც. პირველნიც და მეორენიც ერთ საერთო ენით ალაპარაკდენ, წინეთ,როდესაც სომხური გაზეთები უსაყვედურებდენ პირველთ, რომ თქვენ საერთოთ სომხის ხალხის წინაალმდეგი ხართ, მის წინაალმდეგ ლაპარაკობთ და სწერთო, ისინი ამას პროვოკაციას უწოდებდენ და გარკვევით ამბობდენ ჩვენ მხოლოდ უმადურ სომხის ხალხის ავანტიურისტ ხელმძღვანელების, მეთაურების წინაალმდეგ ვილაშქრებთ და არა სომხის ხალხის წინაალმდეგო ახლა ვიკითხოთ თუ კი წინეთ სომხის ხალხის ავანტიურისტი მეთაურები იყვენ დამნაშავე და არა სომხისხალხი, ეხლა მდგომარეობა რამ შესცვალა? ნუ თუ იმან, რომ სომხის ჯარისკაცები, თუნდ რეგულიარული ჯარიც, რომელიც ბრმათ მიყვება მათ მეთაურებს, რომელნიც მუდამ დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდენ და სომხის ხალხის ინტერესები, შარშანდელ თოვლივით ენაღვლებოდათ, — რომ ეს ჯარი შემოესია ჩვენს ტერიტორიას?! მაგრამ შოვინისტებს და მოსოციალისტე ნაციონალისტებს სხვა ენით არ შეუძლიათ ლაპარაკი.

შ. იმედიანი.



† ამხ. ვლ. ჰ. გობეჩია.

დღეს, 22 დეკემბერს, ნახევარი წელი სრულდება ძვირფას ამხ. ვალოდიას გარდაცვალების დღიდან.

ექვსი თვის უკან ვერაგულათ მოჰკლეს გულწრფელი ძველი რევოლიუციონერი... ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ძვირფასი ამხანაგი.

ამხ. ვალოდიას სიკვდილი, როგორც უკვე აღნიშნეს მისი გარდაცვალების დღეს თითქმის ყველა ჩვენმა ორგანიზაციებმა, დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიისა და მთელი მშრომელ ხალხისთვის. ამხ. ვალოდია თავისებური განსახიერება იყო ჩვენი პარტიის განუწყვეტელ ბრძოლისა ხალხის ბედნიერებისთვის.

თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა ამხ. ვალოდიამ სტუდენტობიდან დაიწყო. ყოველ რევოლიუციონურ გამოსვლაში, მოძრაობაში ის პირველი იყო. მისი მშფოთარე ბუნება ვერ ეგუებოდა იმ უსამართლობას, რომელიც გაბატონებული იყო თვითმპყრობელურ რუსეთში. მისი სპეტაკი ბუნება გულწრფელი რევოლიუციონერისა ვერ ეგუებოდა რუსეთის მაშინდელ მახინჯ, სულთამხუთავ სინამდვილეს.

და აი ის აქტიურათ იწყებს ბრძოლას მეფის რუსეთის წინაალმდეგ.

მას ჩვენ ვხედავთ ოდესის სოც.-რევ. ორგანიზაციის მებრძოლ რაზმის წევრათ და ერთ მის ხელმძღვანელთაგანათ.

ხშირათ ამხ. ვალოდია თავის მებრძოლ რაზმში მოღვაწეობის დროს პირისპირ შეხვედრია სიკვდილს, მაგრამ მის აჩრდილს ის ვერ შეუშინებია.

ამხ. ვალოდია შეუდრეკლათ განაგრძობდა ბრძოლას იარაღით, ყუმპარით ხელში თვით მპყრობელობის წინაალმდეგ.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ამხ. ვალოდიას რევოლიუციონური მოღვაწეობა.

იქ, სადაც საჭირო იყო, ამხ. ვალოდიას იარაღი ეკავა ხელში და მით იბრძოდა, ხოლო სადაც იარაღი არ სჭრიდა, იქ ის ცოცხალ სიტყვას იშველიებდა. ასეთ პირობებში ამხ. ვალოდია თავისი არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით იბრძოდა.

ამასთან ერთად ის ახალ მებრძოლთ წრთვნიდა და ამზადებდა. ამხ. ვალოდია იყო არა მარტო დიდი ორატორი, არამედ ის ნიჭიერი ორგანიზატორიც იყო. სხვა ამხანაგებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციებს საქართველოში. სხვებთან ერთად ის იყო ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთაგანი და სულის ჩამდგმელი.

ძველი რეჟიმის აგენტებმა ამხ. ვალოდია ციხეში ჩასვეს, მაგრამ მისმა ამხანაგებმა ის იქიდან გააქციეს. ციხიდან გამოსული ის თავის მოღვაწეობას განაგრძობს სხვისი პასპორტით, სხვა გვარით. სხვათა შორის, მან სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა ვექილმა, მოსკოვის მაქსიმალისტთა პროცესის დროს.

შემდეგ ის საზღვარ-გარეთ წავიდა და იქ თანამშრომლობდა სხვა და სხვა სოციალისტურ გაზეთებში.

რევოლიუციის დროს ის პირველათ დანიშნულ იქნა სამხრეთ დასავლეთის ფრონტის კომისრათ. უკანასკნელ ხანებში ის იყო კავკასიის ფრონტის კამისრათ, შემდეგ სამხედრო მინისტრათ.

ასეთია მისი ხანმოკლე სიცოცხლის ზოგიერთი მომენტები.

მთელი მისი სიცოცხლე განუწყვეტელი. ბრძოლა იყო მშრომელი ხალხის ბედნიერებისთვის. მისი ლამაზი სიცოცხლე მაგალითია ჩვენთვის იმისი თუ როგორ უნდა ბრძოლა და მუშაობა ხალხის კეთილდღეობისთვის. ამხ. ვოლოდია ვერაგულათ მოჰკლეს, ხელიდან გამოგვტაცეს ნიჭიერი ამხანაგი; ის დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიისათვის და მთელ მშრომელ ხალხისათვის. ვალოდიას სპეტაკი სახე ჩვენ გვავალებს განვაგრძოთ ბრძოლა იმ იდეალებისათვის, რომელსაც თავი შესწირა.

ჩვენი ვალია ამხ. ვოლოდიას ხსოვნა აღვნიშნოთ არა ცრემლითა და გლოვით, არამედ იმ საქმის კეთებით, რომელსაც ის ემსახურებოდა.

დიდება და სამარადისო ხსოვნა შენ დიდო რევოლიუციონერო,ხალხისთვის თავდადებულო დაუვიწყარო ამხ. ვალოდია!

ამხანაგი.

საქ. სოც.-რევ. პარტიის მეორე ყრილობა.

ფრაქციის მუშაობის შესახებ ამხ. იოსებ გობეჩიას მიერ მოხსენების გაკეთების შემდეგ მას შეკითხვებს აძლევენ: ამხ. **ილია კაკაბაძე**, **ალ. გაფრინდაშვილი**, მომხსენებელი მათ უპასუხებს.

ამის შემდეგ შემოდის წინადადება მიხ. ფაჩუაშვილისა, არ გაიმართოს კამათი ამ მოხსენების გამო, ვინაიდან ფრაქცია ექვემდებარებოდა ცენტრალურ კომიტეტს და საკუთარ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა; მომენტზე მსჯელობის შესახებ ვიქონიოთ მხედველობაში ფრაქციის მუშაობაო.

ამხ. ლ. შენგელაიას საჭიროდ მიაჩნია გაიმართოს კამათი მოხსენების შესახებ.

ყრილობამ დაადგინა, იქონიოს მსჯელობა ფრაქციის [illegible] შესახებ დაუყოვნებლივ.

ამხ. ლ. შენგელაია: [illegible] შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ფრაქციის ნაკლი, მისი შეცდომები. ამხანაგის მოხსენებიდან სრულიად არა სჩანს, თუ რაში გამოიხატა საკუთარი პოლიტიკა ფრაქციისა.

ჩვენი ფრაქციის მოღვაწეობის განვლილ ხანას რომ გადავავლოთ თვალი, ჩვენ დავინახავთ, რომ ის ორ ხანად იყოფა: პირველ პერიოდს ეკუთვნის ჩვენი მუშაობა ეროვნულ საბჭოში, სანამ ის უმთავრეს კულტურულ-განმანათლებელი ფუნქციების მატარებელი იყო, და აგრეთვე მისი პარლამენტად გადაქცევის შემდეგი დრო ცენტრალური კომიტეტის მოწყობამდი; ხოლო მეორე პერიოდი იწყება ცენტრალური კომიტეტის შედგენის შემდეგ.

პირველი ხანა ხასიათდება მით, რომ ჩვენს ამხანაგებს საკუთარი პოლიტიკური ხაზი არ ჰქონიათ, თვისი პოლიტიკური ვინაობა ნათლად არ გამოუაშკარავებიათ; აქ ყველაფერი თითქმის მენშევიკური იყო. ავიღოთ თუნდაც ფრაქციის დეკლარაცია ეროვნულ საბჭოში წაკითხული; ამ დეკლარაციაში არის ადგილები, რომელთაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით; ასეთია მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ჯარი, უკანასკნელი ტეხნიკის საშვალებით მოწყობილი, თავგანწირული და სხვა. ეს არ არის სოციალისტ-რევოლიუციონერის ენა;

ცენტრალური კომიტეტის შექმნის შემდეგ მდგომარეობა იცვლება; მართალია, ფრაქცია უნდა დაექვემდებაროს ც. კ., მაგრამ ხშირად ც. კ.-სა და ფრაქციას შორის უთანხმოება იყო ეხლა ც. კ. და ფრაქცია შეთანხმებულნი მუშაობს; უწინ კი ზოგი მთავარი საკითხის გარშემო შეხლა-შემოხლა სწარმოებდა; ასე იყო მაგალითად: მუდმივი ჯარის საკითხის გარჩევისას. როცა ფრაქციაში ეს საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა, ის გადატანილ იქნა ც. კ-ში, და იქ მუდმივი ჯარის საწინაალმდეგო რეზოლიუცია იქმნა გამოტანილი.

უთანხმოება გამოიწვია აგრეთვე აბანოებთან და სხვა წყლებთან აგებულ შენობათა კონფისკაციის საკითხმა. კონფისკაცია, ჩვენ მიერ მიღებული გამომდინარეობს ჩვენი პარტიული შეხედულებიდან: ჩვენი გზა არის გზა თანდათანობითი კოლექტივიზაციისა,

და ამ მხრივ ფრაქციის უმრავლესობის ნაბიჯი სავსებით მიზანშეწონილი იყო.

უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენი გამოსვლები პარლამენტში, ხშირად მკრთალი იყო, რასაც თავისი მიზეზები აქვს; ერთ ასეთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ფრაქციის შედგენილობის ცვალებადობა.

ამხანაგები გვეკითხებიან, რითი ხელმძღვანელობდა ც. კ. ფრაქციის წევრთა კანდიდატურის წამოყენების დროს; ც. კ. ხელმძღვანელობდა უმთავრესად კანდიდატების მომზადებით, ვინაიდან საპარლამენტო კომისიებში პასუხსაგებ მუშაობისთვის სპეციალისტები აუცილებლად საჭირო იყვნენ; ჩვენ შეგვეძლო პროვინციიდანაც ამოგვეკრიბა ასეთი პირები, მაგრამ ეს არ ვქენით, ვინაიდან ძალებისაგან დაცლა პროვინციისა არ გვინდოდა. ამ მხრივ ც. კ.-ის მოქმედება მიზანშეწონილი იყო.

ფრაქციის შედგენილობის ცვალებადობის გარდა სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის უნდა აღვნუსხოთ მოუწყობლობა, და ცხოვრების ის ანორმალური პირობები, რომელშიდაც ფრაქციის წევრთა უმეტესობას უხდებოდა მუშაობა.

დასასრულ უნდა ერთი გარემოება ვნიშნოთ: პარლამენტში ჩვენ ხდებოდა ხშირად გამოსვლა ყვე- ფრაქციების წინააღმდეგ, რასაც ნდა ესერული პოზიცია მოი- ივდა, თუმცა ეს ზოგს მაქსიმა- სტობად მიაჩნდა.

ამხ. აპ. კაკაბაძე. ფრაქციის მუ- ობის განხილვის დროს ჩვენ უნდა ელმძღვანელოთ ერთი რითმე, ელდობრ იმით თუ რამდენად ტიული იყო ის თვალსაზრისი, მელიც საფუძვლად ედო პარლა- ტში ჩვენი ფრაქციის მუშაობას. მ მხრივ, ფრაქციის მუშაობა და- აყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ფრაქციის მუშაობას ქონდა ერთი ლი: კომისიებში მუშაობა არ იყო ურველად მოწყობილი და გარდა ა გამოსვლები ხშირად არ იყო, ინ როდესაც საჭირო იყო, რომ ნი ხმა გაგვეგონა, ჩვენი აზრი ვესმინა. გამოსვლებიც საერთოდ თალი იყო. ეს ც. კ. ბრალია; ლამენტში მუშაობა საუკეთესოდ ავნებს პარტიის სახეს, ის ზრდის ტიის პოპულიარობას, და ც. კ. ა მიელო ყოველგვარი ზომები საუკეთესო ძალებისათვის აქ ყარა თავი. ეს კი ვერ შესძლო კ.

ოლო ხანებში მდგომარეობა, ტათი არ იყოს იცვლება; ჩვენი უფრო მკაფიოდ ისმის პარლა- ტში, რაც მეტად სასიამოვნო დ ურველია.

მხ. ალექ. კაკაბაძე აღნიშნავს, მ არ არის სწორი მომხსენებლის ი, თითქოს რევოლიუციის გა- ავება მენშევიკებთან შეთანხმე- შეიძლებოდეს. საერთო საფრ- ს დროს შეთანხმება საჭიროა, ა დავთმოთ ზოგი რამ, მაგრამ ისე, რომ ჩვენი სახე დაგვე- გოს.

გრარული კანონპროექტი ფრაქ- ს აქამდი უნდა შეემუშავებინა, მხოლოდ ახლახან მომხდარა; ფრაქციის ნელი მუშაობით...

მხ. ივ გოგოლაშვილი ეხება ხენების იმ ადგილს, სადაც აბა- ა და სხვათა შენობის კონფი- ციაზე ლაპარაკი და ამბობს, რომ ფისკაციის შესახებ დავა ამ შემ- ვაში ყოვლად შეუძლებელი და შვებელია; ეს უდავო ჭეშმარი- ა ჩვენთვისო.

ავრობის წარმომადგენელს და ქციას რომ ერთი ხაზი პოლიტი- არა აქვს, ესეც დაუშვებელია. ვა დეფექტებს შორის აღსანი- ია გამოსვლების სიმკრთალე, ც ბოლო უნდა მოეღოს. ცენ- ლურ კომიტეტის წევრები არ იყვნენ იმავ დროს ფრაქციის ები, ამას მოითხოვს საქმის ფექტივობა. გარდა ამისა, ყო- წევრი ფრაქციისა, თუ პარ- ნტისა უნდა ეწეოდეს პარტიულ ობას, და ამ მხრივაც საქმე არის თავის დონეზე დაყენე- ი.

დეპეშა.

(საკ. კორეს.)

ერობო არჩევნები დასრულდა -რევ. პარტიის ბრწყინვალე ჯვებით. სოც.-რევ. გავიყ- ო 12 ხმოსანი, სოც.-დემ. 9 ანი.

უჩა.

ხალი ამბები

მობილიზაცია. როგორც ცნო- მოდის მთელს საქართველოში ლიზაცია სწარმოებს საუცხო-

მოხალისენი. სოფ. ხაშმიდან ლი ცნობებით მოხალისეთა ვმა ყოველ მოლოდინს გადაა- . იმდენი განცხადება შემოვი- რომ საჭიროთ დაინახა მთავრო- ანსაკუთრებული კომისია დაე ინა მოხალისეთა თხოვნების ილველოთ.

⊖ **სომეხთა ქონება.** მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო ბანკში დალუქეს და ჩამოართვეს ყოველივე ძვირფასი ნივთები და ფული, რომელიც სომხების ეროვნულ საბჭოს ეკუთვნოდა. ასე მოხდა თბილისის ყველა ბანკებში.

⊖ **დუშეთში.** უამრავი ხალხი მიდის და ეწერება ზოგი გვარდიაში, ზოგი მოხალისეთა რაზმებში და ზოგიც რეგულიარულ ჯარში.

⊖ **საფრანგეთის კონსული.** საფრანგეთის და სომხეთის წარმომადგენლებმა ინახულეს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი და იქონიეს მასთან ხანგრძლივი საუბარი.

○ **შტატის გადიდება.** მილიციის უფროსის განკარგულებით გადიდებულ უნდა იქნას თბილისის მილიციის შტატი.

⊖ **გაზეთის დახურვა.** ღენერალ-გუბერნატორის განკარგულებით პარასკევს, 20 დეკ. დაიხურა გაზეთი „ზნამია ნაროდა“.

○ **შეცდომის გასწორება.** ყრილობის ანგარიშში ჩვენი გაზეთის № 104 ნათქვამია: როგორც შინაგან საქმეთა, აგრეთვე სამხედრო საქმეთა უწყებებს ადგილობრივ არა საიმედო და მავნე პირები **უდგანან სათავეში.** უნდა იყოს: **ედგენ სათავეში.**

საქართველოს პარლამენტი

ოცი დეკემბრის სხდომა.

ჩვენი სამხედრო მდგომარეობა.

სამხედრო მინისტრის გრ. გიორგაძის მოხსენება.

მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ სომხის მთავრობას არ სურს მშვიდობიანი გზით დააბოლოვოს ყველა ის საკითხები, რომლებსაც სადავოდ სთვლის; მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრენ არა ბანდები, არამედ სომხის რეგულიარული ჯარი; ას შემდეგ, რაც აშკარა შეიქნა ყველასათვის, რომ მეზობელმა სახელმწიფომ სამხედრო მოქმედება დაიწყო, რასაც დღეს არც სომხეთის დიპლომატია მალავს, არც ხომხის ჯარის ხელმძღვანელები,—ამის შემდეგ მთავრობამ განკარგულება გასცა, უბრძანა თავის ჯარს—აქტიური მოქმედება დაეწყო დასაცავათ.

აი დღევანდელ დღეს სამხედრო მოქმედება შემდეგ მდგომარეობაშია: ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ისეთი მოღალატურ თავდასხმით, რომელიც ჩვენმა მეზობლებმა ჩაიდინეს სანაინში და მის მიდამოებში,—ასეთივე მოღალატური თავდასხმა ჩაუდენია მათ მეორე მეზობელ მაზრაში—ახალციხის მაზრაში. და ეს ჩვენი მოლოდინი გამართლდა.

16 დეკემბერს, დილის ხუთ საათზე სომხის რეგულიარული ჯარის ნაწილი თავს დაესხა ყარაულებს, რომელნიც იცავდენ ჩვენს საზღვრებს ახალქალაქის მაზრისას. ამ პირველ შეტევის დროს ჩვენმა ჯარისკაცებმა უკუაქციეს მათი შემოსევა დ ტყვეთ მათ ჩაუვარდათ მხოლოთ ერთი ცხენოსანი ჯარისკაცი.

კიდევ რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორე შემოტევა დაიწყო. ახლა ამ შემოტევის დროს მათ იხმარეს და აამუშავეს ტყვიისმფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალები, მაგრამ ეს შემოტევაც იქნა უკუგდებული ჩვენი ჯარის მიერ. ამის შემდეგ 8 საათზე დაიწყო ბრძოლა მოწინააღმდეგემ. ჩვენ ჯარს შემოუტია ეხლა ზურგ გამაგრებულმა, როგორც ცხენოსანი ჯარით, ისე ქვეითი ჯარით და ტყვიისმტყორცნელებით და დაიწყო სასტიკი ბრძოლა. როგორც ღენერალი მაყაშვილი, როგორც იქ ხელმძღვანელობდა— გვატყობინებს, სასტიკი ბრძოლა, რომელიც იქ სწარმოებდა და რომელმაც გასტანა 8 საათიდან თექვსმეტ საათამდე! სხვათა შორის ერთი ადგილი, ერთი პოზიცია ხან ერთ ხელში გადადიოდა, ხან მეორეში. ბოლოს ეს ბრძოლა მით გათავდა, რომ მოწინაალმდეგის ჯარი უკუაქციეს. მათ დაედევნენ საზღვრებამდის... მიაცილეს... (ტაში. ხმები—„გაუმარჯოს“)

ამ სახელოვან ბრძოლაში, სხვათა შორის როგორც გვაცნობა ღენერალმა მაყაშვილმა, თავი გამოიჩინეს პოდპოლკოვნიკმა ხერხეულიძემ და კაპიტანმა კანდელაკმა.

ეს ახალქალაქ ახალციხის ფრონტზე.

მეორე დღეს მოწინაალმდეგეს ინიციატივით ბრძოლა გაჩაღდა სანაინის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა შესაფერი პოზიცია დაიჭირა. რაკი გამოვიდა იმ ჯოჯოხეთურ პირობებიდან, რომელშიაც ისინი მოღალატეებმა ჩააგდეს.

აი, აქ 17 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე მტერმა ისარგებლა იმითი, რომ შემოღამდა, ამასთანავე ნისლიც იყო—დაეშვა მთებიდან და დაიწყო შემოტევა იმ პოზიციებზე რომელიც ჩვენ ჯარს ეჭირა. ამ ბრძოლის ხელმძღვანელი ღენერალი წულუკიძე გვატყობინებს, რომ ორი საათის ბრძოლის შემდეგ მათი შემოტევა შევაჩერეთ, მაგრამ მალე, რამდენიმე ხნის შემდეგ მათ კვლავ ძალა მოიკრიბეს და შემოტევა კვლავ განაახლეს.

აი, ამ მეორე შემოტევის შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ მთელი ამ მოწინააღმდეგეს ჯარისათვის ალყა შემოგვერტყა. ვინც კი შესძლეს ტყვეთ წამოიყვანეს. დანარჩენი მთებში გაიქცა. (ვეშაპელი—,,კურდღლებსავით“).

ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ რამოდენიმე ჯარის კაცი მათ წამოიყვანეს ტყვეთ. სხვათა შორის საინტერესოა ცნობა, რომ ტყვე ოფიცერთა შორის ერთი რუსი ოფიცერია. ჩვენი ჯარის ხელში ჩავარდა აგრეთვე საესკადრონო ნიშანი, რომელსაც ყველა ესკადრონი ატარებს, ეროვნული ნიშანი ცხენოსან რეგულიარულ ჯარისა.

როგორც ბრძოლის ხელმძღვანელი ღენერალი წულუკიძე გვატყობინებს, ამ ბრძოლაში დაიღუპა, როგორც ის იწერება ,,доблестный ротмистръ кн. Дадіани‘‘. (ვეშაპელი ,,ქართული წერა კიდევ ვერ ისწავლეს?‘‘ თავმჯდომარე—უკაცრავათ, უადგილო შენიშვნებს თავი დაანებეთ.‘‘)

აი, ამ გვარათ სანაინის ბრძოლა გათავდა ჩვენს სასარგებლოთ.

შემდეგი ბრძოლა მოხდა მესამე ფრონტზე, ვარანცოვკის ფრონტზე—სადაც ჩვენი გვარდიელები გაემგზავრენ. იქ ბრძოლა 19 დეკემბერს სწარმოებდა, ე. ი. გუშინ. როგორც იქაური ბრძოლის ხელმძღვანელი ღენერალი ახმეტელაშვილი და ვალ. ჯუღელი გვატყობინებენ—როდესაც ეკატერინოფელდში მივიდენ, ღამე იყო. იქ მათ უცდიდა ერთი ნაწილი გვარდიელებისა, მაგრამ მისულმა გვარდიელებმა, რომელთაც უნდოდათ მოსვენება და ძილის მოკრება—ვერც კი მოასწრეს ტანსაცმელის გაძრობა, რომ დილის ექვს საათზე სროლა აუტეხეს. იქ, სადაც დაბანაკებული ივვნენ—მოწინაალმდეგეებმა ალყა შემოარტყეს. ყარაულები, რომელნიც შორს იდგნენ—იძულებულნი იყვნენ დაეხიათ. მოწინაალმდეგენი თითონ შემოიჭრენ იმ ადგილს, საცა ჩვენი გვარდიელების ბატარეა იყო და აი, აქ მოხდა როგორც იწერებიან ხელმძღვანელები—საშინელი ბრძოლა.

სახალხო გვარდიას წინ მიუძღოდენ მათი ხელმძღვანელები—ვალ. ჯუღელი, ალ. მაისურაძე და ალ. დგებუაძე.

მხოლოთ მათმა მამაცურმა გამოსვლამ, თავგანწირულმა მოქმედებამ შესძლო ის, რომ, თუმცა სტრატეგიულათ ჩვენები ცუდ პირობებში იყვნენ, მაგრამ მათ შესძლეს მტრის საშინლათ დამარცხება.

მტერი, რომელიც რვა როტისაგან შესდგებოდა, ჰქონდა ორი ზარბაზანი და რამოდენიმე ტყვიის მტყორცნელი—დამარცხებული იქნა.

დილის შვიდ საათზე ღენერალი ახმეტელი გვატყობინებს, რომ უკვე კვლავ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა და არ მაქვს საშუალება გელაპარაკოთ. როდესაც გავათავებთ ამ ბრძოლას—ამბავს შეგატყობინებთ.

დათავდა თუ არა ბრძოლა, რომელმაც თითქმის საღამომდის გასტანა—ჩვენ მივიღეთ ფრიათ სასიამოვნო დეპეშა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ფრიად სამწუხარო. ჩვენ მივიღეთ დილით დეპეშა, რომ მტერი სასტიკათ დამარცხდა, რომ ის გარბის და გვარდიელები მას ედევნებიან. მაგრამ იმავე დროს დეპეშაში იყო მოხსენებული, რომ ამ ბრძოლაში დაიღუპა ჩვენი ამხანაგი გვარდიელი სანდრო მაისურაძე.

დღეს ჩვენ ახალი ცნობა მივიღეთ, რომ ახალქალაქის მაზრაში მოწინაალმდეგემ განაახლა კვლავ თავისი შემოტევა, რომ ქვეითი ჯარი, რომელსაც თან ახლავს არტილერიაც—შემოტევას აწარმოებს და, როგორც ხელმძღვანელები იტყობინებიან ჯერ უპირატესობა გვაქვს ჩვენ.

პირველი მათ მიერ მოტანილი იერიშები უკუ ვაქციეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ 60 კაცი, 2 ოფიცერი, 1 ტყვიისმფრქვეველი და ერთი ტელეფონის აპარატი. (ტაში). გუშინ აგრეთვე სწარმოებდა ბრძოლა სანაინის რაიონში. იქ შეეცადენ, რომ ის პოზიციები, რომელიც ჩვენ ჯარის კაცებს აქვთ—მათ დაეჭირათ. მაგრამ აქაც ჩვენი ჯარისკაცები მედგრათ სდგანან და ერთ ნაბიჯს თავის პოზიციებიდან არ უთმობენ.

აი მდგომარეობა დღეს. სამხედრო მდგომარეობა ასეთი არის და ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ რაც დრო გავა—მით უფრო ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდება.

ეს გამოძახილი, რომელიც ჩვენ გვესმის პროვინციიდან, ეს მხურვალე მონაწილეობა ამ თავდასხმის საქმეში და ამ შეტევის საქმეში ნაყოფიერათ სწარმოებს. დღეს აშკარაა ყველასათვის, რომ ის ტყვია. რომელმაც განგმირა ნამდვილი რევოლიუციონერი მუშაკი, სახალხო გვარდიის შტაბის წევრი; ერთი იმ პირთაგანი, რომლის ხელშიაც გაიზარდა, დაარსდა და მოძლიერდა სახალხო გვარდია—პარლამენტის წევრის სანდრო მაისურაძის გული—ის ტყვია მიმართულია არა რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ არამედ იმ დემოკრატიის, იმ თავისუფლების, დამოუკიდებლობის და რევოლიუციის წინააღმდეგ, რომლის დამცველი და წარმომადგენელი იყო სანდრო მაისურაძე.

თქვენ გახსოვთ, მოქალაქენო, ის სურათი, რომელიც თქვენ წინ გადაიშალა აქ მაშინ, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობის 6 თვეს ვდღესასწაულობდით. თქვენ გახსოვთ აი ის გვარდიელი მუშა, რომელსაც აქ წითელი დროშა ეჭირა; თქვენ გახსოვთ აგრეთვე ის ჯარის კაცი რომელსაც ეროვნული დროშა ეჭირა ხელში. აი ის ტყვია, ის აგრესიული მოქმედება, რომელსაც დღეს იჩენს სომხეთის მთავრობა მიმართულია სწორეთ იმ [illegible] წინააღმდეგ, მაგრამ ეს დროშა ხელში უპყრია ისეთ საიმედო [illegible] მედო ჯგუფს გვარდიისა და რეგულიარულ ჯარს, რომ ნურვინ იფიქრებს ამ დროშების ხელიდან გამოგლეჯას და ტალახში ამოსვრას. ჩვენ ამის ნებას არ მივსცემთ...

ჩვენი ვალია მთელი ხალხის ვალი კი არის, რომ ჯეროვანათ აღვნიშნოთ ხსოვნა იმ გმირების, რომელნიც ყოველ ფრონტზე იღუპებიან და მამაცურათ იბრძვიან. და აგრეთვე ჩვენი მოვალეობაა მივიღოთ ზომები, რომ მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნენ (ხმა—მართალია“)

მოქალაქენო! მე ვათავებ ამ ჩემს მოხსენებას დღეს სამხედრო მოქმედების შესახებ და იმედი უნდა გამოვსთქვა აქედან ხმა უნდა მივსცეთ იმ რეგულიარულ ჯარს და იმ გვარდიელებს, რომელნიც ამ ჯართან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძვის სამშობლოს დასაცავათ, რომ მათთან არის მთელი ხალხი, რომელიც იარაღს ისხავს, რომ დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა. (მხურვალე ტაში).

ახალქალაქის მაზრაში.

სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს ახალქალაქიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა შორის სრული სიწყნარეა, ლტოლვილები თანდათან ბრუნდებიან თავის კარ-მიდამოში. ყველა ეროვნებათა შორის სოლიდარული განწყობილებაა და ძველებური მეგობრული კავშირი დამყარდა, განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთა ჩვენდამი დამოკიდებულება საუცხოოა. ხერთვის რაიონის მაჰმადიანებმა განმიცხადეს, რომ ოსმალეთმა სრულიად გაგვცარცვა და გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, რათა საერთაშორისო გზით ოსმალეთს მოსთხოვონ მთელი ზარალის ანაზღაურება, არტაანის ოლქის მაჰმადიანები წარმომადგენლებს გზავნიან აქაურ მაჰმადიანებთან ამბების გასაგებად: ჩვენ როდის შევიერთებს საქართველოო, აგრარული საკითხი მწვავედ სდგას ურაველის რაიონში და ხერთვისის მაჰმადიანებმა მოსთხოვეს მიმღები კომისიების გამოგზავნის დაჩქარება. განსაკუთრებით დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი ჯარების ჯავახეთში შესვლას „დუხობორები“, რომელთა რიცხვი ათი ათასზე მეტია. ესენი ყოველ მხრივათ ეხმარებიან ჩვენს ჯარებს და ხელს უწყობენ ამ ცივ ზამთარში საზღვრის სადარაჯოებზე, სადაც აგერ ერთი კვირაა თავს გვესხმიან ალექსანდროპოლის გზით მოსული სომხის ჯარები. 16 დეკემბერს დილით შეტაკება მოხდა და მცირე ხნის შემდეგ მტერი უკუქცეულ იქნა. სომხების მხრით მუდმივმა თავდასხმამ „დუხობორებში“ შიშიანობა შექმნა. მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელს მომმართეს შეგატყობინოთ, რომ ჯავახეთში მცხოვრები „დუხობორების“ მთელი სოფელი კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ სომხების აგრესიული ნაბიჯის გამო. მათი სიტყვით, თუ აქ სომხის ჯარი შემოვიდა „დუხობორები“ დასტოვებენ აქაურობას და თბილისში გადმოიხვეწებიან. ასეთივეა მაჰმადიანების, კატოლიკების და ქართველების სულისკვეთება. საჭიროა იცოდეთ, რომ ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა რიცხვი მთელი მაზრის მცხოვრებთა 30 პროცენტს შეადგენს. დღეს ეს სომხებიც კი მტრულად არიან განწყობილი დაშნაკელებისადმი. ამბობენ, დაშნაკელებმა აქ მხეცობა ჩაიდინეს და სამაგიეროთ ხალხი დაისაჯა, რომლის 60 პროცენტი სრულიად ამოწყდაო. მთელი მცხოვრებლები აცხადებენ, რომ თუ ჯავახეთში ხელმეორედ შემოდგა ფეხი დაშნაკელების „ზინვორებმა“, ჩვენ კვლავ გადავიხვეწებით თბილისის მიდამოებში. „დუხობორების“ და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები გზავნიან თბი-

ლისში დელეგატებს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რომ ისინი კმაყოფილნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარებით და ითხოვენ საქართველოს ფარგლებში დარჩენას.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული **რუხაძე.**

სომეხთა ეროვნულ საბჭოში.

19 დეკემბერს შესდგა საქართველოში არსებულ სომეხთა ეროვნულ საბჭოს საგანგებო სხდომა.

საბჭომ დაადგინა: 1) გამოსთქვას კატეგორიული პროტესტი სისხლის ღვრის წინააღმდეგ, 2) წინადადება მიეცეს სომხეთის და საქართველოს მთავრობებს შეწყვიტონ სამხედრო მოქმედება და ჩამოაგდონ ზავი რა ფასადაც არ უნდა დაჯდეს ეს, 3) წინადადება მიეცეს მებრძოლ მხარეთა მთავრობებს დაუყონებლივ მოწვეულ იქნას საქართველოს სომხეთის კონფერენცია ყველა სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

რეპრესიების შესახებ მოხსენება გააკეთა ი. არღუთინსკიმ, რომელმაც აღნიშნა სომეხი მილიციონერებისათვის იარაღის აყრა, მილიციონერების მიერ გაზეთის გამყიდავის დაპატიმრება და ცემა, რომ მას ეჩვენებინა „აშხატავორის“ რედაქტორის ბინა და სხ.

საბჭომ დაადგინა: მიმართოს საქართველოს მთავრობას, რომ ჩხრეკას ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს, ეთხოვოს მთავრობას დახურული გაზეთების გამოცემის ნებართვა, რომ მცხოვრებთ ეცნობოს საქმის ვითარება, გამოცემულ იქნას საბჭოს სახელით მცხოვრებთადმი მოწოდება სამს ენაზე.

პარლამენტში მომხდარი ინციდენტის შესახებ საბჭომ დაადგინა: გამოეცხადოს პარლამენტის პრეზიდიუმს მწუხარება მომხდარი ინციდენტის გამო.

საფრანგეთის მისიის წინადადება, რათა საბჭომ გავლენა მოახდინოს მებრძოლ მხარეებზე ზავის ჩამოსაგდებათ—საბჭომ მიიღო და ამ საქმისთვის აირჩია ა. ერზეკიანი, რომელიც საფრანგეთის მისიის წარმომადგენელთან ერთად იმოქმედებს.

სხვა და სხვა ამბები

ღენ. ტომსონის მოწოდება ჩრდილო-კავკასიის ერებისადმი.

მოკავშირეთა ჯარების სარდალმა ქ. ბაქოში ღენერალ-მაიორმა ტომსონმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ჩრდილო-კავკასიის ერებს:

„დავიკავე რა ინგლისელ ჯარებით ქალაქი ბაქო, მე აუცილებლათ ვსცანი მივმართო ჩრდილო-კავკასიის ერებს, რომელნიც იბრძვიან ბოლშევიკების მზაკვრულ ცბიერების წინააღმდეგ.

ბოლშევიზმი გამოგონილია გერმანელების მიერ რუსეთის გასანადგურებლათ. ეხლა ბოლშევიზმი ემუქრება გერმანელებს მათ საკუთარ ქვეყანაშიც. გერმანელები ენერგიულათ ებრძვიან ბოლშევიკურ ანარქიას, რადგანაც იციან, რომ ის ვერ მოუტანს ხალხებს თავისუფლებას.

საერთო მტრის ომის ველზე დამარცხების შემდეგ, ინგლისელები და მათი მოკავშირენი აუცილებლათ სცნობენ რუსეთისათვის დახმარებას მასში წესრიგის აღსადგენათ. ის ჯარები, რომელნიც ამ ჟამათ ჩემს განკარგულებაში იმყოფებიან ქ. ბაქოში, არის მხოლოდ მოკავშირეთა ლაშქრის მოწინავე ნაწილი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიკავებს კავკასიას. ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ წესრიგი მთელ მხარეში და დავეხმაროთ ადგილობრივ ხალხთ ბოლშევიზმის განადგურების საქმეში.

ამიტომ მე მოგიწოდებთ თქვენ: გაერთიანდით და ებრძოლეთ ყოველგვარ სახის ბოლშევიზმს. დარწმუნებული იყავით, რომ მოკავშირეებისათვის, რომელთაც დაამარცხეს გერმანია არ იქნება ძნელი დაგეხმაროს თქვენ სახლში წესრიგის აღსადგენათ და მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის დასამყარებლათ.

არის კითხვები, რომელნიც გთიშავენ თქვენ; ისინი იწვევენ დავას, რომელნიც გრძელდება აგერ მთელი საუკუნოები. ეხლა არ არის დრო ამ საკითხებზე მსჯელობისა: ისინი გადაწყდებიან მომავალ **მსოფლიო კონფერენციაზე**.

ეხლა კი თქვენ საერთო საქმე გაქვთ: ებრძოლეთ შეერთებულნი ბოლშევიზმსა და ანარქიას—**ძალა ერთობაშია.** მოკავშირეები ბოლშევიზმის მტრები არიან. ისინი იმყოფებიან აქ მისთვის, რომ უზრუნველყონ ყველასათვის სამართლიანობა და ზავი.

მოკავშირეთა ჯარების სარდალი ბაქოში ღენერალ-მაიორი **ვ. მ. ტომსონი**“.

ადერბეიჯანი და სომხეთი.

ჯებრაილიდან ბაქოში შინაგან საქმეთა მინისტრს ტელეგრაფით ატყობინებენ:

„სომხები, მიუხედავათ ინგლისელ მისიის წინადადებისა შეეჩერებიათ საწინააღმდეგო მოქმედება, სანგეზურისა და ჯებრაილის მაზრებში განაგრძობენ შეიარაღებულ მასიურ თავდასხმას მაჰმადიანთა სოფლებზე და აძლევენ მათ ცეცხლსა და მახვილს.

გუშინ თავს დაესხენ სოფელ არიმს, გადენეს ცხვრები და ესროდენ მცხოვრებთ. გთხოვთ განკარგულებას უმეწეო მაჰმადიანთა, დასაცავათ ჯარების გამოსაგზავნათ.

მაზრის უფროსი **მახმუდბეკოვი.**

—განჯის გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს:

„ზანგეზურის მაზრის უფროსი ტელეგრაფით მაცნობებს შემდეგს: დამატებით ჩემ 680 დეპეშისა, რომ ანდრანიკის რაზმი ადგილობრივ სომხებით დაესხენ თათრების სოფლებს, რომელიც კალატარასში მდებარეობს და იქ სწყვეტენ მუსულმანებს—გთხოვთ შესაფერ განკარგულებას სიმხეცის შესაწყვეტათ ჯარების, იარაღისა და ტყვიების გამოგზავნით, რაზედაც, თუ საჭიროთ დაინახოთ, აცნობეთ მოკავშირეთა ჯარების უფროსს ღენ. ტომსონს.

უფროსი „მელიქ-ნამაზალიევი“.

მოგახსენებთ რა ამის შესახებ, გთხოვთ განკარგულებას. („ადერ.“)

ასტრახანის ბოლშევიკები.

ასტრახანის ბოლშევიკების ბაქოზე გამოლაშქრების გეგმის შესახებ, ბაქოს გაზ. „ადერბეიჯანში“ შემდეგ ცნობებს ვკითხულობთ. უკანასკნელ დროს ასტრახანში გავრცელდა ხმები, რომ ბოლშევიკებმა გაილაშქროს პეტროვსკზე, მათ წარმატების შესახებ სტარაია-ტერეჩნაიასთან, ჩაჩნეთის ბოლშევიკებთან შეერთების შესახებ და სხვა ასეთები, რომელთაც შეეძლოთ ბოლშევიკების პრესტიჟის აწევა. მცხოვრებლებმა სრულებით არ იციან საქმის ნამდვილი ვითარება. ყველაფერი რაც კი მათდამი აღწევს დამახინჯებულია და განზრახ მოჭორილი ცნობებით შეფერილი. მარკასი „ფინი“ მისი კომანდის საბოტაჟისათვის ბოლშევიკებმა დახვრიტეს. ასტრახანელ კომუნისტების სულისკვეთება საომარი-და მრისხანეა. ბოლშევიკების ზრახვები, მათი უახლოესი მიზნები ერთია: შეუდრეკელი სურვილი ბაქოს დაკავებისა, რომელსაც ისინი აპირებენ განახორციელონ, „რათაც არ უნდა დაუჯდეთ“. ბოლშევიზმის ლიდერების „მაღალ მიზნებსა‘‘ და ასტრახანის პროლეტარიატის „მშობლიურ“ მფარველობასთან ერთად, ისინი განუწყვეტლივ ხვრეტენ ინტელიგენციას, აძლევენ ,,ცეცხლსა და მახვილს‘‘ ყველაფერ კულტურულს, ყველაფერ მას, რაც „ბურჟუაზიული ფეტიშია“.

უსაფუძვლო საყვედური.

ადერბეიჯანის გზათა მინისტრი შემდეგს საჩქაროთ ატყობინებს ტელეგრაფით საქართველოს გზათა მინისტრს:

ოსმალეთის ეშელონებთან ერთად მავალ ადერბეიჯანის რკინის გზის აგენტების ცნობით, უკანასკნელის მოძრავ შემადგენლობას ძალიან აჩერებენ საქართველოს რკინის გზებზე. მთელი დღეობით აჩერებენ ორთქმავლებსა და ვაგონებს სადგურებზე, მათ არ უწევენ შესაფერ დახმარებას რაც შეიძლება მალე საკუთარ რკინის გზაზე დასაბრუნებლათ.

ულელტეხილის რაიონში არ ასრულებენ ტეხნიკურ ექსპლოატაციის ზოგიერთ მოთხოვნილებებს, რაიც ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადერბეიჯანის რკინის გზის მოძრავ შემადგენლობას შეუძლია ამ რაიონში უშიშრათ მიმოსვლა.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ, მიაქციოთ შესაფერი ყურადღება საქართველოს გზების ადმინისტრაციის ასეთ დამოკიდებულებას იმ მატარებლებისადმი, რომელნიც იგზავნებიან ადერბეიჯანის მოძრავი შემადგენლობით, და ბოლო მოუღოთ ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენათ.

ბათუმიდან და გუმბრიდან პოლამდი ადერბეიჯანის რკინის გზის მოძრავ შემადგენლობის რაც შეიძლება ჩქარ მიღებაში, იგი ძალიან დაინტერესებულია ვაგონებისა და ორთქმავლების უკიდურეს საჭიროების გამო. ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრი **მ. ასლანოვი.**

უბედური შემთხვევა.

16 დეკემბერს, სადგურ პუტაზე დაიმსხვრა საბარგო-საქონლის მატარებელი № 20, რომელიც განჯიდან ბაქოში მიდიოდა. 3 ვაგონი ნაფოტებათ იქცა, რომლითაც დაკავებულია სადგურის გზები, მკვდარია ერთი მგზავრი და ორიც დაჭრილი. კატასტროფის მიზეზი საცენტრალიზაციო ისრის უსწორო შებრუნების ბრალია. მატარებლების მიმოსვლა გზის გაწმენდამდე შეწყვეტილია. ამის გამო 16 დეკემბერს, საფოსტო მატარებელი № 3 არ გამოსულა ბაქოდან. დამნაშავე სადგურის ხორიგი კორჟენევსკი მიიმალა („ადერ.“)

გადამდები სენის წინააღმდეგ.

თფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ თფილისის მაზრაში გავრცელებულ გადამდებ სენის წინააღმდეგ დაადგინა—მიიღოს აუცილებელი საჭირო შემდეგი ზომები:

1) გაიყოს თფილისის მაზრა ათ საეპიდემიო უბნად—ჩვენებით თვითეული უბნის საზღვრებისა და აღნუსხვით თუ რამდენი და რომელი სოფელი შევა თვითეულ უბანში, 2) გაიგზავნოს დაუყონებლივ მაზრის თვითეულ საეპიდემიო უბანში მფრინავი საეპიდემიო რაზმი ექიმისაგან და ფერშლისაგან შემდგარი (შეიძლება მოწყალების დაც) 3) იმ საეპიდემიო უბნებში, სადაც ძველად სოფლის საავათმყოფოები არსებობდნენ, რომლებიც ეხლა დახურულია, დაუყონებლივ აღდგენილ იქნან და განახლონ მოქმედება, 4) ეთხოვოს მომარაგების კომიტეტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯზე დაამზიდოს ათი კომპლექტი წამლეულობის რაოდენობისა წარდგენილი სიის დაკვალად და დაუყონებლივ გადმოეცეს ერობის გამგეობის საექიმო სასანიტარო განყოფილებას, 5) მაზრის საეპიდემიო უბნებში დაგზავნილ რაზმებს დაევალოს ადგილობრივ მისვლისთანავე შემოიარონ ხვედრი უბნის თვითეული სოფელი და სოფელში თვითეული ოჯახის აღსანუსხავად სად რამდენი და რაგვარი ავამდყოფია, 6) მფრინავი რაზმის ექიმს ევალება საეპიდემიო უბნის შუაგულ სოფელში ანუ, სადაც თვითონ საქმისთვის უფრო საჭიროდ დაინახავს, თუ მეხუთე მუხლში უპირველეს და აუცილებელ საქმიანობის შემდეგ თავისუფალი დრო დარჩა რაზმს, გახსნას ფეხზე მოსიარულე ავადმყოფთა მიღება (ამბულატორია), 7) მწოლიარე ავადმყოფებს აღმოეჩინოს ჯეროვანი დახმარება სახლში. 8) ხალხის მკურნალობა როგორც სახლში, ისე ამბულატორიაში, აუცილებლად უსასყიდლოა, 9) მფრინავი რაზმის ექიმს ევალება ყოველკვირეული თავის მოქმედების ანგარიში გამოუგზავნოს საექიმო-სასანიტარო განყოფილებას იმ საერთო წესრიგით, რომელიც დაბეჭდილი დაურიგდებათ თვითეულ რაზმის ექიმს, 10) დაევალოს ექიმის გამგეობის სასანიტარო განყოფილების უფროსს მფრინავი რაზმებისათვის შეადგინოს ჯეროვანი ინსტრუქცია და გამგეობასთან შეთანხმებით საეპიდემიო პერსონალი მოიწვიოს, 11) ტიფისაგან სიკვდილით უბედურ შემთხვევისათვის საეპიდემიო პერსონალი დაზღვეულ იქნას: ექიმი 10,000 მან., ფერშალი 5,000 მ. და მოწყალების და 3000 მან. დაზღვევის ფული მიეცემა გარდაცვალებულის ანდერძში ნაჩვენებ პირს.

ერობის გამგეობის სასანიტარო განყოფილების უფროსი ექიმი

ი. ლომოური.

ერობა.

ჩვენს ახლად მოწყობილ ნორჩ რესპუბლიკანურ ცხოვრებას ამშვენებს ერთი დიდი, დაუფასებელი სახალხო დაწესებულება — ერობა. მთელს საქართველოს რესპუბლიკაში უკვე თავდება საერობო არჩევნები და ჩვენ მალე გვეყოლება დემოკრატიული ერობა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორია ის ხალხისთვის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას მშრომელი დემოკრატიისთვის, მაგრამ გვაინტერესებს, როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ჩვენს ერობაში და ცენტრალურ მთავრობის შორის.

რასაკვირველია, უნდა დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში ერობათა კავშირი, ამ კავშირის მოვალეობა იქნება ერობის მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, ერობებისადმი ყოველგვარი დახმარების გაწევა ამა თუ იმ საქმეში.

ცენტრალური მთავრობა ერობის კავშირის მაგიერობას ვერ გასწევს, ვერ გასწევს იმიტომ, რომ ერთი მხრით ის იქნება დატვირთული სხვა და სხვა საშინაო და საგარეო საქმეებით, და მეორე მხრით, თვით დემოკრატიული პრინციპი ეწინააღმდეგება, რომ დემ. ერობას ყავდეს ცენ. მთავრობა კავშირის მაგიერათ.

ეს მამინაცვლობა იქნებოდა და არა პირდაპირი მამობა.

ერობებს ხელმძღვანელობას მხოლოდ მისი კავშირი გაუწევს პირდაპირ, ის იქნება მისი ერთი მეთაური—გზის მაჩვენებელი. ამავე დროს ერობებს ადგილობრივ საქმეებში მთელი უფლება უნდა ჰქონდეს.

ბ. უჩა.

პროვინციიდან.

ზუგდიდის მაზრიდან. 1 დეკემბე
მაზრის სამ რაიონში დაიწყო სა
რობო არჩევნები. ორ რაიონში ა
ჩევნები გადადებულ იქმნა რვა დ
კემბრისთვის.

მაზრის საარჩევნო კომისიამ გად
დების მიზეზად დაასახელა ის, რ
ამრჩეველთა სიები შედგენილი ა
არისო. ნამდვილად კი ამრჩეველთ
სიები შედგენილი იყო, მხოლო
რომ მენშევიკებმა ამ ორ რაიონ
ვერ მოაწყვეს მძლავრი ორგანიზ
ცია და არჩევნებიც სწორედ ამი
თვის გადადვეს.

შემდეგ დაიწყო მათი ხრიკებ
წალენჯიხის მეორე რაიონში მა
ვერ გაბედეს ადმინისტრაციის დახ
მარებით რეპრესიები მიეღოთ ამ
ჩევლების წინააღმდეგ, რადგან ამ
სასტიკად წინააღუდგენ სოც.-რევო
ლიუციონერები ბლოკის ნომრე
(№ 1) არიგებდენ კომისრები დ
მილიციონერები. მათ მიერ ხალ
დაშინებული იყო და ძალა უნებ
რად ხმას პირველ № 1 აძლევდენ.

ს. მუხურის კომისარი ფ. თოდუ
თავის მილიციონერებით არიგებ
ბლოკის ნომრებს. ასე იყო სხვაგა
მაგრამ ბლოკისტები მაინც დამა
ცხდენ. მაგ. ს. ჩხოროწყუში №
მიიღო 167 ხმა, № 3 კი 453.

ს. ლენჯერიშში № 1—21, №
236. ს. ჭოლაში № 1—25, № 3
459. ს. კირცხში № 1—160, №
409. ს. ლესიჭინეში № 1—7
№ 3—239.

ამ რაიონში სადაც კი მოხდა მ
ტინგი, რასაც გაურბოდენ მენშევ
კები, ყველგან ხალხი დაირზმა № 3
ქვეშ და მას მისცა ხმა.

მაგრამ წარმოიდგინეთ წალენჯ
ხის პირველი რაიონის არჩევნებ
რა ხდებოდა იქ?

მე არ შემიძლია აგიწეროთ თქ
ის ძალ-მომრაობა, რეპრესიები, რ
მლითაც გვიმასპინძლებოდენ ჩვ
ბლოკის მომხრეები მაგ. მთავრო
ადგილობრივი ადმინისტრაცია პი
დაპირ ერეოდა არჩევნების საქმე
და ხალხს უბრძანებდენ № 1 მიე
ხმა.

ს. ჯვარში ყუთი გახსნეს დღ
11 საათზე და ისიც მეორე დღ
ორშაბათს და რაკი დაინახეს, რ
მთელი ხალხი № 3-ს აძლევს ხმ
ყუთი დაკეტეს და ხალხს არჩევნებ
საშუალება არ მისცეს.

მაგრამ მაინც № 1 მიიღო 26
№ 3 კი—334. ახლა ვნახოთ ს
სოფლები. ს. ჯგალში, ფახულან
ლიაში და ჭალაში ჩვენი წარმ
დგენლები დაიჭირეს, ნომერს რ
თვის არიგებს, და № 3 დარი
აუკრძალა თვით ადმინისტრაცი
ვინც № 3 ხმას მისცემდა იჭერ
და ყოველგვარ შეურაცყოფას
ნებდენ. ჩვენი ჯვარელი პარტი
ამხ. დ. ჰანტურიას დაჭერაზე
ჯერ მოვიდა ბრძანება. ბრძან
იძლეოდა ვიღაც მიხა ბელქანია,
ლიციის უფროსი და ადგ. კო
რები.

თუმცა ამ საქმეზე ინსტრუ
რად დანიშნულია ალ. ჩიქავა,
მელსაც ეძლევა 1500 მ. ამ საქ
მაგრამ ის მხოლოდ პარტიულ მ
ობას აწარმოებს.

ბ. ალ. ჩიქავამ ყოველ მოლ
ნზე გადააჭარბა. მისი მოქმე
გვაგონებს იეზუიტთა პოლიტიკ
მთელს მაზრაში ისეთ პირო
ქმნის, რომ დემოკრატიული არ
ნები ფიქციად იქცევა. მისმა
ნონო მოქმედებამ ჩვენი პარტი
ძულა აქ პროტესტი გამოეცხად
ჩიქავების პოლიტიკა მხოლოდ ამ
ერებს ანარქიას სცემს მთავრ
პრესტიჟს. დრო კია ამას ჯე
ყურადღებას მიაქცევდეს მთავ

ბ. უ

სარედაქციო კოლ
გამომცემელი—ცენტრალური
კომი

მთავრობის სტამბა.